2024 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს რესტექიმპექს

შინაარსი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია
2. მომზადების საფუძველი
3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა
4. ფული და ფულის ექვივალენტები
5. სავაჭრო მოთხოვნები
6. სავაჭრო ვალდებულებები
7. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება
8. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან
9. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(*თანხები მოცემულია ქართულ ლარში*)

ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
ძირითადი საშუალებები		-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		**-**	**-**
გაცემული ავანსები		56,418	112,604
საგადასახადო აქტივი		-	-
დებიტორული დავალიანება	**5**	9,986,480	11,553,921
ფული და ფულის ექვივალენტები	**4**	421,164	1,820,239
სულ მოკლევადიანი აქტივები		**10,464,062**	**13,486,764**
სულ აქტივები		**10,464,062**	**13,486,764**
კაპიტალი			
განთავსებული კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება		1,921,978	2,806,858
სულ კაპიტალი		**1,921,978**	**2,806,858**
გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**-**	**-**
მიღებული ავანსები		-	-
კრედიტორული და სხვა ვალდებულებები	**6**	8,538,992	10,677,422
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		3,092	2,484
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**8,542,084**	**10,679,906**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**10,464,062**	**13,486,764**

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს „რესტექიმპექს“ -ის სახელით 2025 წლის 27 სექტემბერი

შპს „რესტექიმპექს“ *დირექტორი სოფიო ჩადუნელი*

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

ლარი	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	7	10,153,369	9,091,984
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	7	(8,216,705)	(8,960,324)
საერთო მოგება		**1,936,664**	**131,660**
სხვა საოპერაციო ხარჯები			
მიწოდების ხარჯები		(2,327,259)	-
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები		(90,154)	(148,834)
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი		**(2,417,412)**	**(148,834)**
არასაოპერაციო შემოსავალი			
ვალუტის გადაფასებიდან მიღებული მოგება		2,216,350	124,451
სულ არასაოპერაციო შემოსავალი		**2,216,350**	**124,451**
არასაოპერაციო ხარჯი			
ვალუტის გადაფასებიდან მიღებული ზარალი		(2,620,482)	-
სხვა არასაოპერაციო ზარალი		-	-
სულ არასაოპერაციო ხარჯი		**(2,620,482)**	**-**
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		**(884,880)**	**107,277**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება (ზარალი)		**(884,880)**	**107,277**

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

ლარი	განთასებულ ი კაპიტალი	გაუნაწილებელ ი მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 1 იანვარი 2023	-	2,699,581	2,699,581
შენატანი და განაწილებები			
დივიდენდები	-	-	-
განთავსებული კაპიტალი ზრდა	-	-	-
გასული პერიოდის შეცდომის გასწორების გავლენა	-	-	-
მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)	-	107,277	107,277
ბალანსი 31 დეკემბერი 2023	**-**	**2,806,858**	**2,806,858**
შენატანი და განაწილებები			
დივიდენდები	-	-	-
განთავსებული კაპიტალი ზრდა	-	-	-
მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)	-	(884,880)	(884,880)
ბალანსი 31 დეკემბერი 2024	**-**	**1,921,978**	**1,921,978**

ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს რესტექიმპექს დაფუძნდა 2019 წლის 07 ივნისს და რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: თბილისი, გლდანის რაიონი, ომარ ხიზანიშვილის ქ., N 264 (თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა). კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია: 412746729. კომპანიის 100%-ის მფლობელია ოლეგ ნემცევ (20504196550044,756156438; PE9055805 რუსეთის ფედერაცია).

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კვების ობიექტებისთვის საჭირო ტექნიკისა და დანადგარების ექსპორტი და იმპორტი. კომპანიას მართავს დირექტორი – სოფიო ჩადუნელი 01011031368.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით – ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა მომავალში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს–ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

<u>ოპერაციები უცხოურ ვალუტაში</u>

კომპანიის სამუშაო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი ***("GEL").***

უცხოურ ვალუტაში ჩატარებული ოპერაციების ასახვა ხდება ოპერაციის ჩატარების დღეს მოქმედი გაცვლითი კურსის მიხედვით. ასეთი ოპერაციების ჩატარებით მიღებული მოგება-ზარალი აისახება შემოსავლების ანგარიშგებაში.

2024 წლის 31 დეკემბერს, უცხო ვალუტის ნაშთების ლარში გადაყვანის მიზნით გამოყენებულ იქნა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი შემდეგი გაცვლითი კურსები:

31/12/2023 1 აშშ დოლარი= 2.6894 ლარი.

31/12/2023 1 ევრო= 2.9753 ლარი.

31/12/2024 1 აშშ დოლარი= 2.8068 ლარი.

31/12/2024 1 ევრო= 2.9306 ლარი.

წარდგენის ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება ლარში.

მარაგები

კომპანია მარაგებად აღრიცხავს იმ აქტივებს, რომლებიც კომპანიას გააჩნია რეალიზაციის მიზნით. მარაგის აღრიცხვა ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია თითოეული საქონლის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება შემდეგი დანახარჯები: ა) მარაგის შენახვის დანახარჯები; ბ) ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები; გ) გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები.

კომპანიას არ გააჩნია წარმოება. იგი ახდენს მზა პროდუქციის შეძენასა და შემდგომ არსებულ მდგომარეობაში გადაყიდვას. შესაბამისად კომპანიის მარაგები შედგება მზა საქონელისგან.

გადასახადები

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით.

2017 წლის 1 იანვრიდან სამეურნეო სუბიექტების მიერ მიღებული წლიური მოგება საქართველოში არ იბეგრება, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ბანკებისა. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, რომელიც გაიცა ფიზიკურ პირებზე ან საქართველოს არარეზიდენტ პირებზე 15/85 წმინდა განაწილებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადები, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები აღირიცხება ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

შემოსავალი

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან გამოიქვითება კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი ფასდათმობა. როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. შემოსავალი არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, საკონსულტაციო, ტრანსპორტირებისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

კომპანიას ფული განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე. ფულის უდიდესი ნაწილი განთავსებულია უცხოურ ვალუტაში.

ლარი	2024წ. 31 დეკემბერი	2023წ. 31 დეკემბერი
ლარში განთავსებული	2	2
უცხოურ ვალუტაში განთავსებული	421,162	1,820,237
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები:	421,164	1,820,239

5. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები შედგება იმ დებიტორებისგან, რომელთაც კომპანიამ მიყიდა პროდუქცია და რომელთაგანაც პროდუქციის თანხა ჯერ არ იყო ჩარიცხული 31 დეკემბრის მდგომარეობით. 2023 და 2024 წლების ბოლოს კომპანიას ჰყავდა მხოლოდ ერთი დებიტორი, არარეზიდენტი კომპანია, რომლის საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაა კვების ტექნიკითა და დანადგარებით საბითუმო ვაჭრობა, რომლის

დავალიანება 31.12.2023წ. მდგომარეობით შეადგენდა 11,553,921 ლარს, ხოლო 31.12.2024წ. მდგომარეობით - 9 986 480 ლარს.

6. სავაჭრო ვალდებულები

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო ვალდებულებების საბალანსო ნაშთები შემდეგია:

ლარი	2024 წელი	2023 წელი
კვების ტექნიკის/დანადგარების მომწოდებელი	8,503,207	10,641,091
სხვა მომწოდებლები	35,785	36,331
სულ	8,538,992	10,677,422

7. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანიის შემოსავლის წყარო არის ექსპორტის შედეგად პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი. 2024 და 2023 წლებში კომპანია გაყიდვებს ახორციელებდა ძირითადად არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე, რომლის საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაა კვების ტექნიკითა და დანადგარებით საბითუმო ვაჭრობა.

კომპანია პროდუქციას ყიდულობს იმპორტის გზით. აღნიშნული პროდუქციის თვითღირებულების ხარჯში აღიარება ხდება შემოსავლის დარიცხვის შესაბამის პერიოდში, შესაბამისობის პრინციპის თანახმად. 2024 და 2023 წლებში კომპანიას შესყიდვების ძირითადი ნაწილი განხორციელებული აქვს ერთი არარეზიდენტი იურიდიული პირისგან.

8. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

2024 და 2023 წლებში კომპანიას არ ჰქონია ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, მათ შორის არ მომხდარა კომპენსაციის გაცემა მენეჯმენტზე.

9. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნებას.